



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის საესტრადო და საცირკო სასწავლებელი

თბილისის საესტრადო და საცირკო სასწავლებელი შ. მილორაგას სახელობისა, დაარსდა 1969 ო. თაქთაქიშვილის ინიციატივით. სწავლება იყო ქართ. და რუს. ენებზე. სწავლების ვადა იყო 4 წელი. თავდაპირველად სასწავლებელში იყო 2 განყ-ბა, 1995 გაიხსნა დრამის, 1996 – მუს. თეატრის მსახიობთა განყ-ბები. სასწავლებელი ამზადებდა მოსწავლეებს შემდეგი სპეციალობებით: სალაპარაკო ჟანრი (მხატვრული კითხვა, პაროდია, იმიტაცია); საესტრადო სიმღერა (სოლო და ანსამბლური); საესტრადო ცეკვა (-ქართ., სამეჯლისო, სახასიათო, რიტმული); მუს. საკრავები (ქართ. ხალხური საკრავები, ფორტეპიანო, იონიკა, საყვირი, გიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები); ორიგინ. ჟანრი (აკრობატიკა, ჟონგლიორობა, კლოუნადა, ეკვილიბრისტიკა, ილუმბია, დრესურა). სასწავლებლის კურსდამთავრებულებით დაკომპლექტდა ანსამბლები: „აისი“, „სხივი“, „პირველი ნაბიჯები“. სასწავლებელი დაამთავრა ბევრმა გამოჩენილმა ხელოვანმა (კომპოზიტორი ვ. დურგლიშვილი, მხატვრული კითხვის ოსტატი ე. საღარაძე, იუმორისტი მ. კვირიკაშვილი, იმიტატორი ო. ციმაკურიძე, ვოკალისტი ე. ჯანელიძე, ილუმბიონისტები ზ. ვადაჭკორია, ზ. კრიხელი და სხვ.). სასწავლებლის პედაგოგებად მუშაობდნენ: გ. ცაბაძე, შ. მილორაგა, ნ. (ბიჭიკო) ანდრონიკაშვილი, მ. შილდელი, ც. ციციშვილი, გ. ქართველი-შვილი, ლ. იაშვილი და სხვ.
